ოქმი:**ო02.37220631**

თარიღი:**04/03/2022**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 25 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ვლ. ხავთასი, ნ. მახარაძე, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, თ. გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. კომისიაში შემოსული კორესპონდენციის შესახებ

მომხსენებელი: ბ. თოიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიაში შემოსული მოქ. დავით ჟღენტის განცხადება, რომელშიც იგი ითხოვს ქ. ოზურგეთში ნოდარ დუმბაძის ქუჩაზე გარე განათების მოწესრიგებას, სიჩქარის შემზღუდველი ე. წ. „მწოლიარე პოლიციელის“ მოწყობას, ასევე კანალიზაციის გაყვანას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება მომზადდეს დასკვნები თითოეულ საკითხზე და მიემართოს მუნიციპალიტეტის მერიას დასმული პრობლემების გადაწყვეტის თაობაზე.

ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის მოწესრიგებაში არსებული სიტუაცია, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ ამ კუთხით მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განცხადებით შემოსული მოქალაქე დ. ჟღენტის მიერ დაყენებული

პრობლემების შესწავლისა და მისი გადაწყვეტის თაობაზე და გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (ავ. თალაკვაძე), რომელმაც კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში შედეგებზე აცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და განმცხადებელს.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის მოწესრიგება მუნიციპალიტეტის მერიამ (ავ. თალაკვაძე) მიიჩნიოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ პრობლემად, უახლოს ხანში უზრუნველყოს ამ საკითხზე საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის რეალიზაცია და საკრებულოსათვის შესაბამისი ინფორმაციის მოწოდება.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი